

№ 7—8.

მარტი 1 Мартъ

1919  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

57 / 3  
19

# საქართველოს ეკონომისტი

ორკვირული ჟურნალი



# ЭКОНОМИСТЪ ГРУЗИИ

ДВУХНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛЬ

რედაქტორი დ. თოფურაძე.

Редакторъ Топуридзе.

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

## ქართულათ:

1. სასოფლო მეურნეობა და სააგრონომიო თეკულტეტი. — პროფ. ს. ქურდიანი.
2. წვრილი საერობო ერთეულის გამოქრა გურიაში. — ვ. ლლონტი.
3. ზღვაოსნობის საკითხი ჩვენში. ა. ს.
4. 1918 წლის ფინანსიური მიმოხილვა. მ. კოზლოვსკი.
5. ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარობის გაუმჯობესების შესახებ.
6. ახალციხის მაზრის ეკონომიური მნიშვნელობა.
7. ეკონომიური ცხოვრება. ბიკ. ნიკრისელი.
8. სოფლის ვითარება. ი. ი. რემაშვილი.  
ბიბლიოგრაფია.

---

## С о д е р ж а н и е.

### На русскомъ языкѣ.

1. Экономическій союзъ Д. Топуридзе.
2. Къ вопросу объ учетѣ и распредѣленіи земельного фонда Грузинской Республики М. Лядовъ.
3. Центральнй органъ мѣстныхъ самоуправленій Д. Топуридзе.
4. Результаты работъ пріемочныхъ комиссій М. Л.
5. Площадь посѣва по даннымъ переписи 1916 г.
6. Земская жизнь.
7. Торговля и промышленность.
8. ХРОНИКА.

# საქართველოს ეკონომისტი

ორკვირეული ჟურნალი



## ЭКОНОМИСТЪ ГРУЗИИ

Двухнедельный журналъ

რედაქციის დროებითი მისამართი:

კალოუბნის (ბარონის) ქუჩა, მთავრობის სტამბა, სახლი № 5.

რედაქტორი დ. თოფურძე.

Времен. адресъ редакціи:

Калоубанская (Баронская) ул. Типографія Правительства, д. № 5.

Редакторъ Д. А. Топуридзе.



## სასოფლო მეურნეობა და სააბრუნოეო ფაკულტატი.

ყველასთვის ცხადია, რომ თუ საჭირო დარგებში არ გვეყოლება კარგა მოშაბდებული სპეციალისტები, ჩვენი კულტურული წინ სვლა შეუძლებელი იქნება.

ჩვენთვის საჭირო სპეციალისტებს უმაღლესი სწავლა შეიძლება მივალდებინოთ ან საზღვარ გარეთ, ან აქ საქართველოში, საცა შეგვიძლია დავაარსოთ შესაფერი სპეციალური სასწავლებლები. რასაკვირველია სჯობია, რომ ყოველივე დარგში საკუთარი სასწავლებელი გვქონდეს — ეს ჩვენი იდეალი უნდა იქნეს; მაგრამ ახლა ამის ასრულება შეუძლებელია, რადგანაც საქართველო ვერ შესძლებს ბევრ უმაღლეს სასწავლებლებს მოწყობას და შენახვას, ჯერ იმიტომ, რომ ნორჩი რესპუბლიკა ვერ აიტანს ამით გამოწვეულ ხარჯებს, და მერე-არცა გვყავს საჭირო საპროფესორო პერსონალი.

მაშასადამე, პირველ ხანს უნდა დავაარსოთ მხოლოდ ისეთი სასწავლებლები, რომელიც ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვმართებს დიდი სიფრთხილე, — არ გამოუდგეთ ისეთ დარგებს, რომელიც ჯერ ჩვენთვის უფრო ნაკლებათ საჭიროა და ამავე დროს არ დავავიწყდეს ისეთი სასწავლებლის დაარსება, რომელიც აუცილებლათ საჭიროა

და ურომლისობაც შეაფერხებს ჩვენ ეკონომიურ განვითარებას.

რა პრინციპებით უნდა ვხელოდვანელობდეთ, თუ რომელ სასწავლებელს უნდა მიეცეს უპირატესობა? ჩვენის აზრით უნდა ვიქონიოთ საბჭოში შემდეგი მოსაზრებანი: საჭიროა ვიცოდეთ რამდენი სპეციალისტი დაგვჭირდება ამა თუ იმ დარგში. იმ შემთხვევაში როცა ჩვენთვის სრულიად საკმარისია რამდენიმე სპეციალისტი, სჯობს იმათ მიიღონ განათლება საზღვარ გარეთ, რადგანაც მათი შენახვა იქ გაცილებით იაფად დაჯდება, ვიდრე მათთვის აქ უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. ჩვენი რესპუბლიკისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, რომ ამისთანა დარგებში სპეციალისტებმა საზღვარ გარეთ მიიღონ სწავლა, მხოლოდ საზღვარ გარეთ გასაგზავნი ახალგაზდანი უნდა ავარჩიოთ ნიჭის და მეცადინეობის მიხედვით და არა პროტექციით, როგორც წინად იყო ხოლმე.

ზოგიერთ დარგებში სპეციალისტები ათასობით დაგვჭირდება. ამდენი ხალხის საზღვარ გარეთ გაგზავნა კი ძალიან ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს. რასაკვირველია, სჯობია ამ დარგებში შესაფერი სასწავლებლები ჩვენშივე დავაარსოთ, რაც





ძალიან შეგვიმცირებს ხარჯს. ამისთანა დარგებია მედიცინა, აგრონომია, ვეტერინარია, იურისპრუდენცია, ბუნების მეტყველობა, ტყის მოვლა მოშენება და სხვა. მრავალი მოთხოვნილება სპეციალისტებისა ამა თუ იმ დარგში ვვიკარნახებს ვიქონიოთ, ჩვენთვის საკუთარი სასწავლებლები შესაფერ დარგებში.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა მართლამ მოსაზრებით ვერ ვიხელმძღვანელებთ. შეიძლება ამა თუ იმ დარგში სპეციალისტები მართლ ჩვენი ქვეყნისათვის იყოს საჭირო, მაგალითად, ქართული ისტორიის ენის მეცნიერებაში. იშის და მიუხედავთ რაქდენი სპეციალისტი დაგვჭირდება, მაინც უნდა შესაფერი სასწავლებლები დავაარსოთ.

შეიძლება აგრეთვე სასწავლებლის აუცილებლობა გამოწვეული იყოს ბუნების საკუთარი ელფერით; მაგალითად საქართველოში ალბინური მეურნეობის და ძვირფასი მცენარეობის მოვლა მოშენებას და სხვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუმცა ბევრს სხვა ქვეყნებში ამ დარგებს მნიშვნელობა არა აქვთ, და არც არის იქ შესაფერი სასწავლებლები.

არა ნაკლებ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმითაც, თუ რამდენი დჯდება ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა იმდენად შევიწროებულია, რომ ამ მხარეს არ შეიძლება არ მოუაქციოთ დიდი ყურადღება. მეტი მეტი ხარჯები ჩვენ ქვე-

ყანას შეიძლება აუტანელ ღირებულებად დოს. საქმე იმაშია, რომ უმაღლესი სასწავლებელი ერთ და იგივე ხარჯს როდი იწვევს. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტი ვაცილებით იაფად ჯდება, ვინემ ტექნიკური სასწავლებელი. უკანასკნელისათვის საპროფესორო პერსონალი ბევრია საჭირო, ვარდა ამისა ზედმეტ ხარჯს თხოულობს სავარჯიშო და საჩვენებელი ქარხნების მოწყობაც, ამისთანა ხარჯებს ადგილი როდი აქვს სხვა დარგებში.

უნდა გვახსოვდეს აგრეთვე ის, რომ ჩვენი ქვეყნის გაძლიერება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოაკვლეული იქნება ყოველგვ მხრით, შესწავლილი გვექნება ბუნებრივი სიმდიდრე, ხალხი და სხვა. ამნაირი გამოკვლევა და შესწავლა შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებს. მაშასადამე ეს მხარეც უნდა გვახსოვდეს, თუ რამდენად წინ წაიწვეს ბუნების და მეურნეობის შესწავლა ამ თუ იმ სასწავლებლის დაარსებით.

ამ პრინციპების მიხედვით საჭიროა გავშინჯოთ რამდენათ საჭიროა ჩვენთვის უმაღლესი აგრონომიული სასწავლებელი და, თუ საჭიროა, რამდენად შესაძლებელია მისი დაარსება.

უმათერესი წყარო ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა სასოფლო მეურნეობა არის, რადგანაც საქართველოში 80% მეტი მოსახლეობა სოფლის მეურნეობით





ცხოვრობს. ყოველივე გაუმჯობესობა-სოფელს მეურნეობისა იქნება ამავე დროს ჩვენი ერის ეკონომიურად გაღონიერება.

საქართველოში სოფლის მეურნეობას ხელს უწყობს მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება. მარალაც და პატარა საქართველოს ტერიტორიაზე რა და რა ჰაეფს, რადა რა ნიადაგს არ შეხედებთ: ერთი მხრივ ისეთი თბილი ადგილებია, საცა იზრდება არამც თუ ვაზი და აჭამი, არამედ ცხელი ქვეყნის ისეთი მცენარეები, როგორცაა ბამბა, ბრინჯი, ჩაი, ფორთოხალი და მრ. სხვა. მეორე მხრივ ისეთი ცივი ადგილებია, საცა მხოლოდ საქონლის მოვლა მოშენებით შეიძლება ცხოვრება. ყველამ ვიცით, რა საკვირველი განსხვავებაა იმერეთის და ამერეთის ბუნებაში. ამ ბუნების სხვა და სხვაობას, რასაკვირველია, უნდა მოსდევდეს აგრეთვე შესაფერი სხვა და სხვაობა სასოფლო მეურნეობისა. რამდენად შემფერის ჩვენი სასოფლო მეურნეობა ჩვენ მრავალფეროვან და მდიდარ ბუნებას? სიპართლე უნდა ვსთქვათ, რომ რამდენათაც შემკული და მდიდარია ჩვენი ქვეყანა, იმდენად დაბალი და მარტივია ჩვენი სასოფლო მეურნეობა. მერე ვისი ბრალია ჩვენი ასე უკან ჩამორჩენა? უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჩვენი ხალხის ბრალი როდია. ქართველი შუშა - ხალხი ადვილად ითვისებს ყოველივე კეთილ დაწყებას. კულტურის შეთვისებაში იგი არ ჩამოუვარდება ბევრ მოწინავე ერს. მთელი

რევოლიუციის მიმდინარეობაში რევოლუციონერები, რომ ჩვენ ხალხს უფრო მეტად უნდა გილი უნდა ეჭიროს ერთა შორის, ვიდრე მას აქამდე ეცავა. მაშ რისი ბრალია ჩვენი ჩამორჩენა? ვინ გვასწავლიდა ჩვენ სხვა და სხვა საუკეთესო შემოსავლიან და ძვირფას მცენარეების მოყვანას, ვინ გავაცნობდა სხვა და სხვა სასოფლო იარაღის და მანქანების ხმარებას, რომლის საშუალებითაც განათლებულ ქვეყნებში აორკეცებენ და ასამკეცებენ შუშის ნამუშევარს და აუმჯობესებენ ჭირნახულის ხარისხს? ვინ ფიქრობდა აქამდე კულტურულ მცენარეების და ცხოველების გაუმჯობესობაზე, როგორც მაგალითად აუმჯობესებენ ამერიკაში და ევროპაში? - არავინ. რადგანაც ის საშუალება, რომელსაც მიხნათ ქონდა რუსეთში აგრონომიული ცოდნის ცხოვრებაში გაყვანა-უმალღესი სასწავლებლები და ერობა - ჩვენ არა გვექონდა. იმ დროს, როცა რუსეთში თითო შახრაში ორმოცამდე აგრონომი ტრიალებდა, როცა თითქმის ყოველ სოფელს ქონდა სამეურნეო საჩვენებელი და საქირავო მანქანები, ჩვენ მთელ საქართველოში არა გვყავდა არც ამის მეთედი აგრონომი და არც საწყობი მანქანებისა. ამ შედარებაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომეტებულ რუსეთის ბუნება ერთ - ფეროვანია და ამის გამო სასოფლო მეურნეობაც მარტივია და თუ მაინც ერობამ საქიროთ დაინახა ასე გაძლიერება აგრონომიულ დახმარებისა,



მაშ ჩვენ რამდენი აგრონომი დაგვეჭირდება, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი ბუნების მრავალ ფეროვნებას? იმ გარემოებაში, რომელშიაც აქამდე დაყენებული იყო ჩვენში აგრონომიული დახმარება, უნდა გვაკვირდეს ის, რომ მეურნეობა სრულიად არ დაეცა ჩვენში. ეხლა, როცა ჩვენში ხალხის ბედ იღბალი ჩვენსავე ხელშია, არ შეიძლება არ მივაქციოთ დიდი ყურადღება აგრონომიულ მეურნეობას; ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მოვაშალოთ საკმარისი კონტინგენტი აგრონომ მასწავლებლებისა, გავაჩინოთ სადაცკი შესაძლებელია, საჩვენებელი მიწები და ვენახები, გავხსნათ საქონლის გაუმჯობესობის პუნქტები, შევიძინოთ გასაქირავებელი მანქანები და სხვა. უპირველესად კი საჭირონი არიან კარგათ მომზადებული აგრონომები. აგრონომიული დახმარება საჭიროა აგრეთვე იმიტომაც, რომ მუშა ხალხს ძალიან ნაკლებ აქვს მიწა. აგრარულ რეფორმების შემდეგაც საქართველოში მიწის შიმშილს დიდი ადგილი ექნება. ერთად ერთი საშუალება ამ შიმშილის მოსასპობათ არის სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. მხოლოდ მას შეუძლია ეკონომიურად გააღონიეროს ჩვენი მუშა ხალხი და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი. იმ მცირე მიწის საშუალებითაც, რომელიც მის ხელშია, ინტენსიფიკაციის ცხოვრებაში გატარება შეიძლება მხოლოდ კარგათ მომზადებულ მუშა აგრონომების სა-

შუალებით. სად შეიძლება სასოფლო-ნომების მომზადება? აქამდე ჩვენი აგრონომები უმთავრესად რუსეთში იღებდნენ სწავლა განათლებას. სწავლა რუსეთის აგრონომიულ ინსტიტუტებში შეთანხმებულია რუსეთის ბუნების მოთხოვნილებასთან. რადგანაც რუსეთში უმთავრესად ხორბლეულობის კულტურაა გავრცელებული, ამიტომ უმთავრესი ყურადღება ამ მეურნეობას აქვს მიქცეული.

იქ ნასწავლი აგრონომი აქ ჩვენთვის ნაკლებ გამოსადეგი იყო, რადგანაც არ იცოდა და არ იყო მომზადებული იმ დარგებში, რომელნიც ჩვენთვის უმთავრესი იყო, როგორც, მაგალითად, მცენარეობა, მეღვინეობა, ყველის გაკეთება, ბაშბის, ბრინჯის და თამბაქოს მოვლა მოშენება და სხვა.

უმაღლეს სასწავლებლის დიდ მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ადგილობრივ ბუნების და მეურნეობის გამოკვლევა შესწავლა და ხელმძღვანელობა.

აი ეს ორი გარემოება: ერთი რომ ჩვენ ქვეყნისათვის მოვაშალოთ ისეთი აგრონომიული ძალა, რომელსაც მერე შეეძლოს საქართველოში ნაყოფიერად მუშაობა და მეორე ის, რომ აგრონომიულმა შკოლამ გამოიკვლიოს საქართველოს მეურნეობა, შეიტანოს გაუმჯობესება ხალხის ცხოვრებაში, გვაძლუდებს ჩვენ უქველად ვიქონიოთ საქართველოში საკუთარი მაღალი სამეურნეო სასწავლებელი.



საკითხია ახლა ის, რამდენათ შესაძლებელია ჩვენთვის უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის დაარსება? უმაღლეს აგრონომიულ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ორ ნაირი დარგი. ერთი ჯგუფი დარგებისა თუმცა სპეციალურ ცოდნას არ აძლევს, მაგრამ საჭიროა, როგორც ძირითადი საძირკველი, ურომლისათაც არ შეიძლება აგრონომების მომზადება თუ ამ დარგებით არ დაიწყო მეურნეობის შესწავლა, წარმოუდგენელია ნამდვილი აგრონომიული ცოდნათ შეთვისება. ძირითადი დარგები, რომელიც აუცილებელათ საჭიროა აგრონომისათვის შემდეგნი არიან: 1) ბოტანიკა და ფიზიოლოგია მცენარეებისა, 2) ქიმიკა ორგანიული და არა ორგანიული, 3) ფიზიკა, 4) ზოოლოგია, 5) კერძო ზოოლოგია-მავნე და სასარგებლო ცხოველებისა, 6) მიკოლოგია, 7) მეტეოროლოგია 8) ბაქტეოროლოგია, 9) მინერალოგია. 10) გეოდეზია. 11) გიდროტექნიკა. 12) საინჟინერო ცოდნა, 13) ტენოლოგია 14) პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა 15) კანონმდებლობა და 16) ახალი ენები.

ეს საგნები მომეტებულ შემთხვევაში უკვე იკითხება, ან მომავალში იქმნება შეტანილი ქართულ უნივერსიტეტში, იმის და მიუხედავათ იქმნება თუ არა სააგრონომიო ფაკულტეტი დაარსებული. ზემოთ ჩამოთვლილ 16 დარგიდან მხოლოდ არ იქნება დაწესებული გიდროტექნიკა, საინჟინერო ცოდნა და ტენოლოგია. მა-

შასადამე, სააგრონომიო ფაკულტეტისთვის მხოლოდ ეს სამი საგანი იქნება ახლად შემოღებული. ეს სამი დარგი შეიძლება ჩაბარდეს ერთ ან ორ პირს, რომლებსაც ადვილად ვიშოვით ჩვენ ინჟინერებს შორის. აქედან სჩანს რამდენად გაადვილებულია საქმე, რომ უნივერსიტეტთან დაწესდეს აგრონომიული ფაკულტეტი. ჩვენ ისე ღარიბნი ვართ კულტურული ძალებით, რომ საჭიროა მთლად გამოვიყენოთ ცოდნა იმ მოღვაწეებისა, რომელნიც უკვე მუშაობენ უნივერსიტეტში. ძირითად საგნებს სტუდენტები მოუწოდებინ ორ წლამდე.

სპეციალური დარგები სააგრონომიო ფაკულტეტზე უნდა იყოს შემდეგი: 1) ნიადაგის მეცნიერება, 2) საზოგადო და კერძო მიწის დაძუშავება 3) აგრონომიულ ქიმიური ანალიზი, 4) საზოგადო და კერძო ზოოტექნია 5) სასოფლო სამეურნეო ეკონომია, 6) ენციკლოპედიური კურსი ტყის მოვლა მოშენებისა 7) ანატომია და ფიზიოლოგია შინაურ ცხოველებისა, 8) ვეტერინარია 9) სასოფლო სამეურნეო მანქანები, 10) ვაზის მოშენება და მელვინეობა 11) ბალოსნობა, 12) მერძეობა და ყველის გაკეთება 13) ფრინველების მოვლა მოშენება. 14) მეფუტკრეობა და მებაბრეშუმეობა. 15) ძვირფასი და სამკურნალო მცენარეების კულტურა. სპეციალურ დარგებს დაიწყებენ მეორე კურსზე და გაივლიან მესამე და მეოთხეზე. ზოგ დარგში უკვე გაყავს



მზად საჭირო პირი, მაგალითად ნიადაგის მეცნიერებაში— დიმიტრი გედევანიშვილი, საზოგადო და კერძო მიწის დამუშავებაში— კონსტანტინე ამირეჯიბი. სააგრონომიო ქიმიურ ანალიზში— პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ცხოველების ანატომია და ფიზიოლოგიაში— პროფეს. ალექსანდრე ნათიშვილი, ტყის მოვლა შენებაში— პროფ. სოლ. ქურდიანი. ზოგიერთ დარგებში დროებით, ვიდრე მოემზადებიან სახლვარ გარეთ გაგზავნილი პირნი, შეიძლება მოვიწვიოთ ჩვენი აგრონომები, რომელთაც ექნებათ საკმარისი თეორეტიული და პრაქტიკული ცოდნა. დარგები: მებაღეობა, მერძეობა, მეფუტკრეობა და სხვა თან და თან იქნება შემოღებული.

აგრონომიულ განყოფილებისთვის ძალიან საჭიროა სამაგალითო მამულები, საცა სტუდენტებს უნდა ქონდეთ პრაქტიკული მუშაობა. საჭირო სამაგალითო მამულები ჩვენ ბევრი გვაქვს მაგ. ყოფილი საუფლისწულო მამულები. ამ მხრივ შეგვიძლია სიამოვნებით ვსთქვათ, რომ ჩვენი აგრონომიული ფაკულტეტი სამაგალითოდ იქნება მოწყობილი.

აგრონომიულ ფაკულტეტთან უნდა დაარსდეს აგრეთვე სატყეო განყოფილება, რადგანაც ეს ჯერ საჭიროა და მეორე ადვილი მოსახერხებელიცაა. საჭიროა იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორია ძალიან მდიდარია ტყეებით, რომელ-

საც ერთი მესამედი ალავი უჭირავს ტყეები დიდი ღირებებისა და მნიშვნელოვანიც. ამის დამტკიცება აქ შორს წაგვიყვანდა, მოვიგონოთ მხოლოდ, რომ ტყეების არსებასთან ერთად მჭიდროდ არის დაკავშირებული წყაროების და მდინარეების რეჟიმი, ნიადაგის შენახვა გადარეცხისაგან, სოფლების, ვენახების და მინდვრების გადარჩენა წალეკვისაგან და სხვა. გარდა ამისა, რადგანაც ტყეები შეადგენენ სახელმწიფო კუთვნილებას, ამიტომ მოვალე ვართ ამ განძს, ამ ვრის სიღიდრეს და სიამაყეს გავუფრთხილდეთ და მოვაწყოთ გონიერი და მიზან შეწონილი ექსპლოატაცია.

შეიძლება გვკითხონ: განა რუსეთის სატყეო სასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენ ამ მხრივ მოთხოვნილებას? საქმე იმაშია, რომ მთის ტყეები, როგორც ჩვენა გვაქვს და ბარისა, როგორც რუსეთშია, სულ სხვადა სხვა მოვლა მოშენებას და ექსპლოატაციას საჭიროებს. გარდა ამისა ჩვენ გვიხდება იმისთანა მეურნეობის წარმოება, რომელსაც რუსეთში არ იცნობენ და არც საჭიროებენ— მაგალითად: საფიჩხების და საჭიგო ტყეების მოწყობა. რუსეთში ვერც კი გაცნობენ იმ ჯიშის ხეებს, რომელნიც ჩვენში უმთავრესად ითვლებიან, როგორც არის წითელა, რცხილა, წაბლი და მრავ. სხვანი, რომლებიც რუსეთში არ იზრდებიან, ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენი ტყეები სრულიად გამოუყვლეველია. ამას შეს-



ძლებს მხოლოდ უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი.

სატყეო განყოფილების დაარსება მასთან ადგილიც არის. ამ განყოფილებისათვის საჭიროა იგივე ძირითადი დარგები როგორც სააგრონომიო ფაკულტეტზე. რაც შეეხება სპეციალურ დარგებს, ამ განყოფილებაზე საჭიროა: 1) ნიადაგის მეცნიერება 2) დენდროლოგია. 3) ტყის მოვლა მოშენება. 4) ტყის ტაქსაცია. 5) ტყის მეურნეობა. 6) ტყის ექსპლოატაცია. 7) ტყის მელიორაცია. რადგანაც ამ ფაკულტეტზე კურს დამთავრებულით მიეცემათ პირველ ხანში ტყის გამგის თანაშემწეობა, თანაშემწე, კი წელიწადში 30 კაცზე მეტი არ იქნება საჭირო, ამიტომ ხარჯის შესამცირებლათ საკმარისი იქნება ორ წელიწადში ერთხელ მივიღოთ ხოლომე სტუდენტები სატყეო განყოფილებაზე. ამ განყოფილებაზე დროებით, მანამ მომზადდება საკმარისი საპროფესორო პერსონალი, სპეციალურ სატყეო დარგებს იკისრებს პროფესორი ქურდიანი, თუ მოწვეულნი იქნებიან საჭირო ასისტენტები. რაც შეეხება ნიადაგის მეცნიერებას, იგი წაკითხული იქნება სააგრონომიო და სატყეო განყოფილებაზე ერთ და იმავე დროს. ამ ნაირად ჩვენის აზრით, ქართულ უნივერსიტეტში ძალიან

საჭიროა და მასთან ადგილი უნდა იქნას მისცეს ბელიც აგრონომიულ ფაკულტეტის დაარსება. ამ ფაკულტეტთან უნდა დაარსდეს აგრეთვე სატყეო განყოფილებაც. რაც შეეხება ხარჯებს, ამ ფაკულტეტის შენახვა სატყეო განყოფილებით ძვირი არ დაჯდება, რადგანაც ჩვენი აგრონომიულ ფაკულტეტისათვის საჭირო დარგი უკვე იკითხება უნივერსიტეტში; სპეციალური სავნები, შემოღებულ იქნება თან და თანობით, შეძლებისა და გვარად.

არ მოითხოვს აგრეთვე ღიდ ხარჯებს საჩვენებელ მაშულების მოწყობა, რადგანაც საუფლისწულო მამულები უკვე მზად გვაქვს. ზედ მეტ ხარჯს მოითხოვს მხოლოდ ფერმის და საჩვენებელ მიწდგრის გამართვა თბილისში. სატყეო განყოფილებისათვის ბორჯომის მამული სრულიად საკმარისი იქნება და არ გამოიწვევს არავითარ ხარჯებს. რადგანაც ხმებია, რომ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი თბილისიდან გადადის, ამიტომ ჩვენ უნდა ახლავე შევუდგეთ სააგრონომიო ფაკულტეტის დაარსების საქმეს, რომ არ დაფიანტოთ პოლიტექნიკურის აგრონომიულ განყოფილების სტუდენტები.

პროფესორი ს. ქურდიანი.



## წერილი სსრკ-ში პრეტენციის გარეშად გურიანში.

მეცნიერი შპრინგერის აზრით სახელმწიფოს ახასიათებს სამი მთავარი მოქმედება: კანონდებლობა, მართლმსაჯულება და მმართველობა (законодательство, судопроизводство и управление). ყველა წესიერათ მოწყობილ სახელმწიფოში აი ამ სამი საფუძველის მიხედვით აშენებენ უფლებრივ ინსტიტუტებს. — ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია, რომელიც ახასიათებს ამ უფლებრივ ინსტიტუტებს მისივე განმარტებით არიან ადმინისტრაციული უფლების კატეგორიები და არა კონსტიტუციონურის, ამიტომ ყველა სახელმწიფოს თვითმმართველობას, როგორც უფლებრივ ინსტიტუტს, ეძლევა უფლება-მოსილება და იხაზება მისი კომპეტენცია იმ პრინციპებთან შეფარდებით, რომლებიც უდევს საფუძვლათ თვით სახელმწიფოს. — ევროპაში ყველაზე უფრო ცენტრალისტური სახელმწიფო იყო გერმანია, ამიტომ მისი თვითმმართველობა (სახეში გვაქვს წვრილი ერთეული) სასოფლო თემები (сельские общины) — ნაკლები კომპეტენციის იყვნენ შედარებით ინგლისის თვითმმართველობებთან, — სამრევლოებთან, приходы, — რომელთა კომპეტენცია უფრო ფართე ნიადაგზე დადგა; რასაკვირველია, თანდათანობით, თვითმპყრობელი რუსეთის ერობის კომ-

პეტენცია იფარგლებოდა მხოლოდ საერობო მიღვაწეობით — ჯანმრთელობა, შკოლა და გზები, აი უმთავრესად მისი სამოქმედო სარბიელი. — ამის გამო რუსულ და ქართულ ლიტერატურაში კიდევაც დამკვიდრდა ტერმინები: საერობო ფუნქციები წინააღმდეგ სახელმწიფო ფუნქციებისა. — ამ განსხვავების სათავეთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რუსეთის სახელმწიფოს ერობა მიიჩნდა უფრო კეთილმოწყობილობის დაწესებულებათ, ვიდრე სახელმწიფო აპარატათ. — ამიტომ საერობო გადასახადს აწერდენ სახელმწიფო გადასახადზე დანატებით. — მართალია, ერობას ეძლეოდა თვით-დაბეგვრის უფლება, მაგრამ მხოლოდ ცენტრალური მთავრობის ნებართვით, რომელიც მყისვე ისარგებლებდა თვისი „ვეტოთი“, როდესაც კი გადასახადის საგანი იქნებოდა მიჩნეული თვითმპყრობელობისათვის არა სასურველად. — როგორც რუსეთის ერობა, ისე ინგლისის სამრევლოები, გერმანიის სასოფლო თემები და საფრანგეთის კომუნები აღმოცენდენ თანდათანობით, ასე ვსთქვათ, ევოლიუციონური გზით და ამის შეფარდებით მათი სახე და კომპეტენცია, უფლებამოსილება თანდათანობით გაიზარდა და შემუშავდა. — აგრეთვე აღსანიშნავია ის გარე-



მოებაც, რომ, როგორც ცენტრალისტურ-მა მონარქიულმა გერმანიამ გაცილებით მეტი გააკეთა მუშათა საკითხში, ვიდრე რესპუბლიკანურმა საფრანგეთმა, ისე, პერსიაშლის მოწმობით, საფრანგეთის შედარებით, უფრო ცენტრალისტურმა თვითმმართველოებებმა უფრო მეტი გააკეთეს გზების საქმეში, ვიდრე ინგლისის დეცენტრალისტურმა სამრეწოლოებმა მრავალისეთი დარგებისათვის, როგორც არის გზები, ტრამვაი და საზოგადოთ ისეთი დარგები, რომლებშიაც ელექტრონული ძალაა მოწყობილი და თვით საზოგადო მზრუნველობისა და განათლების საქმისათვისაც კი არსებული გადამიჯგნის უმეტესი ნაწილი ზედმიწევნით პატარაებია. ლონდონის სწრაფი ზრდისათვის საგრაფოების ადმინისტრაციული საზღვარი აღმოჩნდნენ ხელოვნურ საზღვრებათ, რომლებსაც უკვე აუქციის გვერდი წყლის სადენის მოწყობის დროს და რომელიც წარმოადგენს ხელის შემშლელ „ტორმოსს“ მუხრუქს მრავალი დარგების მიხედნ შეწონილათ მოწყობის წერტილიდან. აქტიური გამგეობის ან მეთვალყურეობისათვის ორგანოების შეჯგუფებით ან სხვა საშუალებით დიდი ოლქების შექმნა ძლიერ შეამსუბუქებდა სწორწონილობას და საჭირო კანტროლს და ხელს შეუწყობდა ეკონომიის განვითარებას და არას შემთხვევაში არ ავნებდა თვითმმართველობათა მოქმედების იმ ინტერესებს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში უფრო არის

განვითარებული, ვიდრე ვერონაში. \*). აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დეცენტრალიზაცია ყველა დარგებში არ არის სასურველი და სასარგებლო. — თითქმის ესევე ითქმის წვილ ერთეულებზედაც. — თუ რა მაგალითს იძლევა ვერონა ამ მხრივ, დავინახავთ იმავე პერსიაშლის შემდეგი სიტყვებიდან: „სასოფლო თემთა დიდი უმეტესობა იმდენათ პატარაებია, რომ მათ არ მოეპოვებათ არც საკმაო ადმინისტრაციული გამოცდილება და არც საკმაო ფინანსიური საშუალება, რომ მიღწიონ რაიმე საგრძნობ შედეგებს: ამ მხრივ ისინი წააგავენ საფრანგეთის კომუნებისა და ინგლისის სამრეწოლოების დიდ უმეტესობას. — როგორც საფრანგეთში ისენიც, რამდენათაც იქ კეთდება რამე, არიან სამაზრო მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ და საეკვოა რამე გააკეთონ ისე, რომ არ მიიღონ ლანდტაგის რჩევა და მოწონება და — ქვევით. — ჩვეულებრივთ სასოფლო თემი ზედმიწევნით მცირეა იმისათვის, რომ მაში განვითარდეს ნაყოფიერი მუშაობა. — ასე რომ აქაც, როგორც საფრანგეთში და ინგლისში უფრო დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ამ რაიონების გაერთიანება — შეჯგუფების სისტემა\*\*).

\*) იხ. ინგლისელი მწერლის პერსიაშლის „Мѣстное и центральное управление“ — сравнительный обзор учреждений Англии, Франции и Соединенныхъ Штатовъ — გვ. 181—182.

\*\*) იხ. იგივე გვ. 116—117 ხაზს ყოველგან ჩვენ ვუკვამთ: ვ. დ.



თუ ზემონათქვამს მივუმატებთ იმ გარე-  
ობებს, რომ საქართველოს დემოკრატი-  
ული რესპუბლიკა მოაოგებულთა რევო-  
ლიუციონურ გზით, ასეთი წყობილება  
ჯერ არსად ევროპაში არც სხვაგან არ  
არის, ცხადია ჩვენი ერობაც, როგორც  
რევოლიუციური მონაპოვარი და დემო-  
კრატიული რესპუბლიკის მეთაურობით  
შემოღებული. უფლების მხრივ არ იქნება  
შეზოკვილი. — მაგრამ უფლებას მხოლოდ  
მაშინ აქვს ღირებულება, როცა მისი გან-  
ახორციელებელი საშუალება მოგვეპოვ-  
ება. — აქ მეტისმეტი სიფრთხილე გვმარ-  
თებს, როგორც წვრილი ერთეულების  
გამოქრაში ისე მათი კოპ ტენციის გან-  
ახალგრაში.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობენ  
შემდეგი დასკვნები:

1. არსად ევროპის არც ერთ სახელმ-  
წიფოში არ არის თვითმმართველობა ისე  
ერთბამათ რევოლიუციონური გზით შე-  
მოღებული, როგორც ეს ჩვენში ხდება.

2. არც ერთი თვითმმართველობა არ  
არის ისე კარგათ მოწყობილი, რომ გა-  
მოდგეს ჩვენთვის მაგალითად. — და 3.  
ევროპის არც ერთი წვრილი ერთეული  
არ არის მიჩნეული საკმაოთ ქვეყნის ეკო-  
ნომიურ-ფინანსიური განვითარებისათვის  
და ყოველგან ემჩნევა მიღრეკილება შე-  
ღარებით მსხვილი ოლქების შექმნისაკენ.

მ.შ როგორ უნდა გამოიქრას ჩვენში  
ერთეულები?

ყველაზე უფრო იდეალურ თვითმმარ-

თველ ერთეულად ითვლებს <sup>საქართველოს</sup> საკუთარი საწარმოო  
ძალებით და ფინანსიური საშუალებით  
გაუძღვება თავის საქმეს და რომლის ყვე-  
ლა მობინადრეს შეძლება ექნება ყველა  
იმ ერთეულის მიერ შექმნილ საზოგადო-  
დაწესებულებით თანაბრათ ისარგებლოს.

— ასეთი ერთეულები არ შეიძლება გა-  
მოიქრას ჩვენში. არამც თუ სოფლის სა-  
ზოგადოებანი, რომელთა რადიუსი საშუ-  
ალოთ უდრის 4—5 ვერსს\*) და მცხოვ-  
რებთა რიცხვი 5.000 სულს, თვით ასე-  
თი პატარა ქალაქებიც კი, როგორც არის  
ორ ვერსიანი ოზურგეთი, ვერ არის ისე  
მოწყობილი, რომ განაპირა საკითხი არ  
არსებობდეს. ოზურგეთსაც აქვს თავისი  
„ნახალოვკა“. რაც შეეხება სოფლის სა-  
ზოგადოებებს — ისენი ხომ სულ შორს  
არიან ამ შესაძლებლობასთან — ჩვენი სა-  
ზოგადოების საშუალო რადიუსათ შეიძ-  
ლება ჩაითვალოს 4—5 ვერსი. — არ არის  
არც ერთი საზოგადოება, სადაც ყველა  
მობინადრეს შეეძლოს თანაბრათ ისარ-  
გებლოს საზოგადოებათა დაწესებულებე-

\*) ეს ციფრები გულისხმობენ სასაკუთრო  
მამულებს, რომლებზედაც იწერებოდა სახელ-  
მწიფო გადასახადი, სახელმწიფო მამულები-  
ნაკი, ეს რადიუსი უნდა ვადიდდეს ორჯერ. —  
სწორი მეცნიერული სტატისტიკის უქონლო-  
ბის გამო იძულებული შევიქნებით გვესარგებ-  
ლა 1907—1916 წ.წ. კავკასიის კალენდარში  
მოცემული ცნობებით. ვფიქრობთ იმ გარე-  
მოებას წერილის მთავარ საგანზე ვავლენა არ  
დაურჩება, ვინაიდან რადიუსის ვადიდებას წე-  
რილის პრინციპიალურ მხარესთან ვაგზირი არ  
აქვს. — ვ. ლ.



ბით — ამის გამო ყოველგან ჩნდება ერთი ცენტრი და რამდენიმე განაპირა სოფლები. ცენტრებათ არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადმინისტრაციული დაწესებულებანი. — ნამდვილ ცენტრათ ჩვენს შეხედულებით უნდა იქმნას აღიარებული ეკონომიურ კულტურული ადგილები, რომლებსაც აქვს სხვათა შორის შედარებით უკეთესი მიმოსვლის პირობები, ხშირი მოსახლეობა, კულტურული და სავაჭრო დაწესებულებანი. — ასეთი ცენტრები უკვე გაჩენილია თვით ცხოვრების მსვლელობით და გაჩენილია სწორეთ იმ ალაგებში, სადაც საწარმოვო ძალთა დამოკიდებულება შედარებით მაღლა საფეხურზეა აწეული. — ოზურგეთი, ჩოხატაური, ნავომარი, ლანჩხუთი — სუფსა პირველობარისხოვან პუნქტებათ შეიძლება ჩაითვალოს, ჯვარი, ცხემლის-ხიდი, ხიდის-თავი და სხვა — მეორე ხარისხოვან ადგილებათ. ამათ გარშემო უნდა გამოიკრას ჩვენი საერობო წვრილი ერთეულები. — ამ ერთეულების რადიუსი საშუალოთ უნდა უდრიდეს 21—25 ვერსს, კომლთა რაოდენობა 4.000 და მცხოვრებთა რიცხვი 20.000. — ამას გარდა თითოეულ მათგანს აქვს რაიმე განსაკუთრებული თვისება და ხასიათი ეკონომიურის მხრივ. ოზურგეთის რაიონს ახასიათებს ჩაის და თხილის მოყვანა, მეხილეობა. — შეუძლია უმაღლესად განავითაროს ხე-ტყის მრეწველობა, წყლის ძალით მოწყობის განათება და ქაონხები ხე-ტყისა და

სხვა. — ჩოხატაურს — მეაბრეშუმეობა, მეთუთუნეობა, ხე-ტყის მრეწველობა, საქონლეობა — საძოვარი ადგილების სიმრავლის გამო. — ლანჩხუთს — ხე-ტყის მრეწველობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. — სუფსის რაიონი ითვლება მთელი გურიის ბელობათ. — რადგანაც ჩვენი ქვეყანა წვრილი მეურნეობის ქვეყანაა, სადაც წვრილი მიწათ-მფლობელობა იქნება გაბატონებული, განსაკუთრებით მიწის რეფორმის შემდეგ, და რადგანაც ჩვენი ვაგებით, ერობის, როგორც უაღრესათ ეკონომიური მნიშვნელობის დაწესებულების, უმათავრეს დანიშნულებას საწარმოვო ძალთა განვითარება უნდა შეადგენდეს, ამიტომ მისი წვრილი ერთეულების გამოკრას უნდა დაედვას საფუძვლათ არა ტერიტორიული, არამედ ეკონომიურ-კულტურულ-ეტნოგრაფიული პრინციპი. — თქმა არ უნდა უკეთესი იქნება თუ ეს ორი პრინციპი ერთად შეთანხმდება, ხოლო სადაც ეს არ იქნება, იქ უეჭველში უაღრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მეორე პრინციპს. — საშუალოთ 4000 კომლიან ერთეული ხალხთან ვერ იქნება იდეალურათ დაახლოვებული სწორეთ ისე, როგორც არც დღევანდელი საზოგადოების ერთეულია რიგზე გამოკრილი ამ მხრივ, მაგრამ ის იქნება მაინც ექვს ჯერ უფრო ანლო ხალხთან, ვიდრე საშუალო ცენტრი; მეორე მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსიურათ ის თითქმის იმ-



დენათ ღონიერი მაინც იქნება. დღევანდელი მეორე ხარისხიანი ქალაქები რომ არიან. — ასეთს ერთეულს ეყოლება ერთი ხმოსანთა საბჭო 40 ხმოსნიდან შემდგარი, რომელშიაც ყველა სოფელს შეუძლია იყოლიოს ერთი ან ორი ხმოსანი. — მისი აღმასრულებელი ორგანო იქნება სამი კაცისაგან შემდგარი გამგეობა თავის კანცელიარით, რომლის შენახვა ძველი ფულის კურსით დაჯდება:

თავმჯდომარე . . . . .	2400
მისი თანაშემწე გამგეობის წევრი . . . . .	1800
გამგეობის წევრს მდივანს . . . . .	1800
საქმის მწარმოებელს . . . . .	1200
მოსანგარიშეს . . . . .	1200
მწერალს . . . . .	900
რეგისტრატორს . . . . .	600
მოსამსახურეს . . . . .	300

10200

თუ ის იყოლიებს ერთ ტენიკს, მაშინ მისი ბიუჯეტი გადიდება 1500 მანეთით. დღევანდელი ადმინისტრაციის და სოფლის კანცელიარიების მაგიერ იქნება შემოდებული მხოლოდ სამილიციო პოსტები ერთი უფროსი და სამი-ოთხი უპროსი მილიციონერით: უფროსი მილიციონერის ალაგას შეიძლება ვიგულისხმოთ კომისსარი, რომელთა შენახვა დაჯდება: უფროსი მილიციონერის 1200, 4 უმცროს მილიციონერს 3.600 მ., სულ ოთხ ერთეულში  $4.800 \times 4 = 19.200$  მან.

ამნაირათ წვრილი ერთეულები ლარიის და სამილიციო პოსტების შენახვა დაჯდება წელიწადში სულ 31.000 მანეთი. — მე აქ რასაკვირველია არ ვეხები დაწვრილებით ნუსხის შედგენას, რომელშიაც უნდა შევიდეს ყოველ გვარი გასავალი სტატიებით და დაიფაროს შესაფერი შემოსავლის წყაროებით. ეს მუხლები უნდა გაირკვას კომპეტენციის გამორკვევის შემდეგ. ამნაირათ მთელი ერთეულის შენახვა გამოიწვევს 32.000 ხარჯს ე. ი. რვა მანეთს თითოეულ კომლზე საშუალოთ.

ასეთ თვითმმართველ ერთეულს უნდა ჰქონდეს მინიჭებული სრული უფლება იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც ეს ეძლევა სამაზრო ერობას. რადგანაც ერობა უნდა ემსახუროს ადგილობრივ და საერთო საჭიროებას, ამიტომ გადასახადიც უნდა იყოს შემოდებული ადგილობრივი, რომელიც იქვე დაიხარჯება და საერთო, რომელიც გაიგზავნება სხვა მოზიარე დაწესებულებაში. ადგილობრივ ხასიათის ხარჯებით უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის ხარჯი, რომელიც დასჭირდება ერობის ორგანიზაციისა და საერობო დაწესებულებათა შენახვას (გამგეობა, კანცელიარია, მილიცია, ერობის კეთილმოწყობილება: საავთმყოფო, გზები, ხიდების ვაკეთება, ჭაობების გაშრობა და სხვა). საერთო გადასახადი უნდა იხარჯებოდეს სამაზრო მნიშვნელობის გზებზე, ფოსტაზე, ხიდებზე, ტელეფონებზე, საავთმყოფოებზე



და სხვა. სასოფლო გზა წვრილი ერთეულის ნუსხაში შევა, სავაზრო კი მაზრის ნუსხაში. საავათყოფოებს მაზრა შეინახავს, საკურნალოებს და საფერშლო პუნქტებს წვრილი ერთეულები. შეიძლება მთელი მედიკო-სანიტარული დარგი დარჩეს მაზრის ერობის ხელში, ამ შემთხვევაში უნდა გამოირყვეს წვრილი ერთეულის როლი ამ საქმეში. ასევე ითქმის გათლებებზე, პირველ დაწყებითი პროგიმნაზიის ტიპის და სახელოსნო სკოლები წვრილი ერთეულის განკარგულებაში უნდა იყოს, საშუალო ტიპის სკოლები და მაზრის მნიშვნელობის პროფესიონალური სასწავლებლები უეჭველათ სავაზრო ერობის განკარგულებაში.

შემოსენებულის გამო და ვიღებ რა მხედველობაში რომ:

1. ჩვენში წვრილი ერთეულების გამოჭრა იმ სახით, რომ ყველა მობინადრეს ერთნაირათ შეეძლოს ცენტრთან დაწესებულებით სარგებლობა ყოველი შეუძლებელია.

2. სასოფლო საზოგადოებათა წვრილ საერობო ერთეულებათ გადაქცევა ხდის ამ ტერიტორიის ადმინისტრაციულ პუნქტს თვითმმართველობის ცენტრათ, რაც გვაშორებს რა სასურველ ერთეულების გამოჭრის შესაძლებლობას, აკანონებს ეკონომიურ კულტურულ ცენტრს უმეტეს შემთხვევაში ყოვლად შეუსაბამო ალაგზე.

3. მხოლოდ სრულყოფილებიან ერთეულის შეუძლია დაუხლოვოს ხალხი მმართველო-

ბასა და ხელი შეუწყოს ხალხის ყოველ ცხოვრების აღორძინებას.

4. სოფლის საზოგადოებათა სახით გამოჭრილა ასეთი ერთეულები ვერას შემთხვევაში ვერ გაუძლებენ იმ ხარჯებს, რომელიც საჭიროა სრულ უფლებიან თვითმმართველი ორგანოების შესანახათ.

5. შედარებით ფინანსიურათ მძლავრი ერთეულის შექმნა შეუქლია ისეთს ტერიტორიას, რომელზედაც იქნება საშუალოთ 4000 კომლი.

6. საერობო ერთეულებს უსათუოდ უნდა ქონდეთ ცოტათ თუ ბევრათ ბუნებრივი, ცხოვრების მიერ გაჩენილი ეკონომიურ-კულტურული პუნქტები.

7. ასეთი პუნქტები უკვე არის გურიისაში ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სუფსის, ნაგომარის და სხვათა სახელით, რომ ჩვენმა საერობო ერთეულებმა ხალხი ჩააბას ეკონომიურ-კულტურულ მუშაობაში, გააღვიძოს მასში აქტუალობა და პასუხისგება, ასწიოს საწარმოვო ძალთა დამოკიდებულება, ააყვავოს ვაჭრობა მრეწველობა და საზოგადოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა — ეს ქვაკუთხედი ყველა სხვა ზედნაშენისა, მე წინადადებას ვიძლევი.

1) ოზურგეთის მაზრის წვრილი საერობა ერთეულების ცენტრებათ იქმნას აღიარებული უკვე არსებული ეკონომიურ-კულტურული და უთნოგრაფიული პუნქტები, 2) თვითეული მათგანის გარშემო გამოიჭრას წვრილი საერობო ერთეული



რადიუსით 21—25 ვიკის 4000 კომლთა რიცხვით და 20000 მცხოვრებთა რიცხვით საშუალოთ (უკიდურეს შემთხვევაში საზოგადოების გაყოფა დასაშვებია, სოფლის კი არას შემთხვევაში) და 3) მიენი-

ქოს იმ ერთეულებს სრული ექონობა ცია განსაკუთრებით საერთო წეობაში.

ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანი  
**ვიქტორ ლლონტი.**

# ზღვსოსნობის საკითხი ჩვენში

## I.

ოუსეთის ნანგრევებზე მრავლათ აღმოცენდენ რესპუბლიკები, რომელნიც დამოუკიდებლათ აცხადებენ თავს. წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათგანი დიდ ხანს ვერ იარსებებს. დამოუკიდებლობისათვის არ კმარა მხოლოდ შესაფერისი აქტის გამოქვეყნება, თუნდაც იგი მთელი ერის ყოფის შედეგს წარმოადგენდეს. ამისათვის საჭიროა ობიექტიური პირობების არსებობა, რომელნიც არავის ნებას არ ემორჩილებიან.

საშუალო საუკუნეებში კიდევ დასაშვებია იქნებოდა ეს. მაშინ არა თუ სახელმწიფო, მისი უმცირესი ერთეული ოჯახიც კი თვით იკმაყოფილებდა თავს. დღეს კი ნატურალური წარმოება აღარ არსებობს, გაქრა, როგორც ოჯახის, ისე სახელმწიფოს კარ ჩაკეტილობა. აღარაკინ ჰქსოვს თავის ჩასაცმელ ბერანგს, აღარაინ ჰქედს ხმალს და აღარაინ ხმარობს კაჟიან თოფს. კაპიტალისტურმა წარმოებამ სძლია მანუფაქტურულს. ცარიელი ხელი ვეღარ უწევს კონკურენ-

ციას მანქანას. პირადა წარმოებამ საქონლის წარმოებას დაუთმო ადგილი. საქონელი აღარ სცნობს აღარც პატრონს და აღარც სამშობლოს. წარმოება თანდათან საზოგადოებრივდება.

როდესაც აი ასეთ პირობებში ცალკე სახელმწიფო საკუთარ ფეხზე აპირობს დადგომას, მან პირველ ყოვლისა უნდა იკითხოს: აქვს თუ არა მას ნაციონალური წარმოება, ან მისი აღორძინების საშუალება? აქვს თუ არა მას შეძლება და უნარი შეხება იქონიოს მსოფლიო წარმოებასთან? სახელმწიფო, რომელიც ამ საშუალებებს მოკლებულია ან ბარბაროსული დარჩება ან კიდევ მიუხედავად დამოუკიდებლობისა სხვას ჩაუფარდება ფაქტიურათ ხელში.

აფილოთ ეს საზომი ხელში დო შევხედოთ ჩვენს რესპუბლიკას: სახელმწიფოს არსებობა წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივ სიმდიდრეს, ეკონომიურ ვითარებას და თვით ერის თვისებებს. ჩვენ არ შეგვხებით ამ უკანასკნელ პუნქტს. ჩვენი



ქვეყნის  
განვითარების

წარსული, როგორც შორეული, ისე ახლო  
აშკარათ გვიჩვენებს, რომ ქართველი ერი  
არაა მოკლებული არსებობის უნარს და  
დანარჩენი პუნქტების განხილვამ უნდა  
დაგვიმტკიცოს, რომ საქართველოს შეეძ-  
ლება კულტურულათა ც მოაწყოს ეს არ-  
სებობა.

**გეოგრაფიული პირობები.** უმთავრე-  
სი საშუალება ეკონომიური ურთიერთო-  
ბისა დღევანდელი სახელმწიფოსთვის ზღვა  
არის. ისტორია გვიმტკიცებს, რომ სა-  
ხელმწიფო, რომელსაც მოეპოვება კარგი  
საზღვაო ხაზი და ამასთანავე უნარი მისი  
ჯეროვნათ მოხმარისა, მუდამ წარმატება-  
ში ყოფილა. ზღვა მსოფლიო სარბიელია. ის  
მთელ ქვეყანას უკავშირებს სახელმწიფო-  
სა და უსაზღვრო საშუალებას აძლევს მას  
განვითარებისას. ამით აიხსნება ის, რომ  
თავდაპირველათ პატარა და უმნიშვნელო  
სახელმწიფოებთან ქალაქებს მსოფლიო-  
ისტორიულ-მნიშვნელობა მოუპოვებიათ.  
კართაგო, გენუა, ვენეცია, ჰანზას ქალა-  
ქები, ან ისეთი პატარა სახელმწიფოანი,  
როგორც პორტუგალია ჰოლლანდია იყო,  
იყო დრო, როდესაც ხმელთა შუა ზღვის ნა-  
პირები ვენეციელების კოლონიებით იყო  
დაფარული, მათ ეკუთვნოდათ მე-12 საუ-  
კუნის დამლევს ლაზისტანი, ახალშენები  
შავი ზღვის ნაპირას და თვით სტამბო-  
ლის 3/4-იც. იყო დრო, როდესაც მთელი  
აღმოსავლეთის ვაჭრობა (ჩინეთთან, იაპო-  
ნიასთან და ინდოეთთან) პორტუგელების  
ხელში იყო. იყო დრო (მე-17 საუკუნის

ნახევარი), როდესაც ჰოლლანდია  
ათასი გემი ჰქონდა და მთელ ევროპას  
აკმაყოფილებდა უცხო საქონლით.

საზღვაო ტენიკის განვითარებამ კიდევ  
უფრო ასწია ზღვის მნიშვნელობა სახელ-  
მწიფოსთვის. მან დაუკავშირა ერთმანეთს  
მსოფლიოს უდიდესი პუნქტები და მით  
უზარმაზარი იმპულსი მისცა საქონ-  
ლის წარმოების განვითარებას. ძველათ  
გემები ზღვის ნაპირებს ვერ შორდებო-  
დნ და ძალიან უფროხოდნ შორეგზას.  
ასტრონომიულმა რუქებმა, კომპასმა, ორ-  
თქლმა და ფოლადმა ისე გარდაქნეს  
ზღვაოსნობა, რომ დღეს გემი აღარ  
უფროხის აღარც ზღვის სივრცეს და  
აღარც სიშორეს. ამასთანავე იგი ჩქარაც  
არის უფრო, მკვიდრიც და დიდიც. ორ-  
თაშუა რიცხვით თითო გემი 5-ი მატა-  
რებელის ტვირთს იტევს. ის არ მოითხოვს  
განსაკუთრებულს ხელოვნურათ გაკეთე-  
ბულ გზას და ამიტომ ნაკლებ აწვება  
სახელმწიფოს, ვიდრე მაგალითად ნაკლებ  
ნაყოფიერი რკინის გზაა.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ დღეს  
ამა თუ იმ ქვეყნის ბედიღბალი, მისი სიმ-  
დიდრე, მისი მომავალი ზღვაზეა დაწყა-  
რებული. უზარმაზარია დღევანდელი კულ-  
ტურულ-სახელმწიფოების იმპორტი და  
ექსპორტი, მაგრამ მათი დიდი ნაწილი  
ზღვით სწარმოებს. რუსეთზე უხეირო  
საზღვაო ხაზი არც ერთ სახელმწიფოს  
არ ჰქონია. ის, შეიძლება ითქვას უფრო  
კონტინენტალური ქვეყანა იყო. მიუხე-





დავით ამისა, მისი აღებ-მიცემობის უდიდესი ნაწილი ზღვით სწარმოებდა. ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ცნობით, რომელიც 1900-წ წლებს შეეხებოდა რუსეთსა ხმელეთის საზღვრებით შემოკლებდა და გაჰქონდა 505 მილ. სალირალი საქონელი: ზღვით კი 1029 მილიონისა. მარტო ექსპორტი ზღვით უდრიდა 683 მილიონს; ხმელეთით კი მხოლოდ 220 მილიონს.

აღვილი გასაგებია, რომ დღევანდელი კულტურულ-სახელმწიფოები არავითარ ხარჯს არ ეროდებან ფლოტის შესანახათ და მის გასადიდებლათ. ინგლისი თავისი ბიუჯეტის 20% ახმარს ფლოტს. დაახლოვებით ამდენსაკეს ხარჯავენ ფლოტებზე სხვა სახელმწიფოებიც, როგორც დიდები, ისე პატარები: ამერიკა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცია, ნორვეგია, დანია და სხვ.

უზღვოთ, მაშასადამე დღევანდელი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელა, ამიტომ ესწრაფვის მას ყოველი სახელმწიფო და არავითარ მსხვრბლს არ უფრთხის მის მოსაპოვებლათ.

როგორაღა ამ მხრივ ჩვენი საქმე? ჩვენ და საბედნიეროთ, — კარგათ. საქართველოს ფართოთ აკრავს ზღვა, რომლის ნაპირები უძველესი დროიდანვე იზიდავდენ მეზღვაურებს. ბერძნებმა უკვე მერვე საუკუნედან (ქრ. წ.) მოჰფინეს ამ ნაპირებს. ახალშენები. მათ მიერ ხმარებული ნავსაყუდები დღეისაც ძველ

სახელებს ატარებენ. ასეთნაირად იქნა პეკუსი, რიკუსი (რიზე), ათენა (ატინა) ფაზისი (ფოტი) დიოსკურია (იზგაური) პიტიუსი (პიჭვინტა) და სხვა. შემდეგში ბიზანტიელები, გენუელები, ვენეციელები და ტრაპიზონელი ბერძნებიც ეწეოდენ ჩვენს საზღვრებზე ზღვაოსნობას. არც რუსებს მიუტოვებიათ იგი უყურადღებოთ, პირიქით, ისინი დიდის ინტერესით ეკიდებოდენ ზღვაოსნობის ჩანვითარების საკითხს. 1900 წელს შავ ზღვაზე მათ 951 გემი მოვბობდათ, ამათთავან 635 იალქნიანი გემი იყო, 316 კი ორთქლით მავალი; საერთო ტონაჟი შავი ზღვის სავაჭროფლოტისა 230.600 უდრიდა. მათ გააუჯობესეს აგრეთვე ის პორტები, რომელნიც დღეს ჩვენს საზღვრებში არიან. ბათუმი, ფოთი, ყულევი, სოხუმი, ბიჭვინთა, გაგრა, ადლერი და ტუაპსე. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პორტებთავან ბათომია. ამას სტატისტიკაც გვიტყვიცებს. 1909 წელს პორტმა გაისტუმრა 1406 გემი. გაისტუმრა 1473. პორტიდან გატანილ იქნა 40 მილიონის სალირალი საქონელი, შემოტანილი 11 მილიონისა. ოსმალეთის ხელში ყოფნის დროს ბათომი თითქმის არავითარ როლს არ თამაშობდა, მისი ადგილი სინოპს ეჭირა. რუსების დროს გამშენიერდა იგი. გაშენდა ორი ნავთსაყუდი. ერთი სანაპირო გემებისათვის, მეორე შორს მავალთათვის. მიუყენეს ას რკინის გზა და მით ასწიეს მისი მნიშვნელობა. საუბედუროთ ამ პორტს





ეკონომისტი

არ მოეპოვება დოკები და სარემონტო სახელოსნოები. თუ ჩვენმა რესპუბლიკამ შესძლო ამ ნაკლის შევსება, ამ პორტის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი შეიქნება; შემდეგი მნიშვნელოვანი პორტი არის ფოთი. მასზე კიდევ უფრო მეტი შრომაა დახარჯული, რადგან იგი ხელოვნური პორტია; იგიც დიდს როლს თამაშობდა ამიერკავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში. მისი ნაკლი მისი სიპატარავეა. დიდი ტიპის გემებისთვის შეუძლებელია მათი სარგებლობა. დანარჩენი პორტებისთვის ძველმა მთავრობამ ვეღარ მოიცალა. იქედია საქართველო მათ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს. რუსეთს სხვა პორტებშიც გააჩნდა, ჩვენთვის კი ზემო აღნიშნულნი ერთად ერთი იქნებიან. მათს სიავკარგეს უზარმაზარი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისთვის, აქედან უნდა ველოდეთ ჩვენ გაკეთებას: სიმდიდრეს, კულტურას და ცივილიზაციას. მათ უნდა დაგვაკავშირონ ჩვენ განათლებულ დასავლეთთან.

გეოგრაფიული პირობები, მაშასადამე, ხელსაწყოანი არიან ჩვენი ქვეყნის აღორძინებისთვის. მისი საზღვაო ხაზი შედარებით გრძელია. მასზე ხშირია პუნქტე-

ბი, რომელნიც სავარგონი არიან უკვე მისადგომათ, მათ დასაცლოელათ და დასატვირთავათ. ჩვენ დღესვე მოგვეპოვება პორტები, რომელნიც ჯერ-ჯერობით საკმარისი არიან ჩვენი ეკონომიურ-მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ. ჩვენს ხელთა მათი გაუმჯობესება ან ახლების შექმნა, არ უნდა დაევიწყოთ, რომ ეს პორტები ჩვენს გარდა სხვებსაც ემსახურებიან. საქართველო მცირედი ნაწილია ამიერკავკასიისა. მხოლოდ მას აქვს ზღვის ნაპირი, სომხეთს და ადერბეიჯანს კი არ მოეძევებათ. იგი ძნელი საპოვარი იქნება მათთვის. საქართველოსთან ერთად, მაშასადამე, მათი ექსპორტ-იმპორტიც, მათი ეკონომიური ცხოვრებაც ჩვენს საზღვაო საზღვარზე იქნება დამოკიდებული. არა თუ დასახლებული ქვეყნები, ჩრდილოეთ კავკასიის და სპარსეთის ნაწილებიც იძულებულნი იქნებიან ისარგებლონ ჩვენი პორტებით. როგორათაც უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ვითარება ამიერ კავკასიაში, ქართველებისთვის ამ გარემოებას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება. ამიტომ უნდა მივაპყრათ ჩვენ შავი ზღვის ნაპირებს მოუშორებლათ თვალი. აქა ჩვენი მომავალი...

ა. ს.

### 1918 წლის ფინანსიური მიმოხილვა.

გავიდა 7 თვე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი ფინანსიური არსებობისა. ეს ვადა ძალიან ხანმოკლეა იმი-

ათვის, რომ ფინანსიური უწყების მუშაობის საფასურით გათვალისწინება მოსახერხებელი იყოს, მაგრამ საკმაოა იმის



გამოსარკვევად, თუ რა მიმართულებას მიიღებს რგი მომავალში.

შესაძლებელია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის არც ერთ დარგში არ ქონდეს ისეთი დიდი მნიშვნელობა პირველ ნაბიჯებს, როგორც ფინანსიურში. ლონიერი ფინანსები ისეა საჭირო სახელმწიფოს განვითარებისათვის, როგორც სასიცოცხლო წვენი ცოცხალი ორგანიზმის საზრდოთ. მაგრამ ფინანსიური მართველობის მიზნები არ ამოიწურება იმით, რომ სახელმწიფო კასაში ფული გააჩინოს. აუცილებლად საჭიროა, რომ ეს საშუალებები საღ და ლონიერ წყაროებიდან მომდინარეობდეს. 1917 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ნაანგარიშევი სახელმწიფო შემოსავალი სულ 26,5 მილ. მან. უდრიდა. ეს ჯამი განაწილებული იყო გადასახადთა სამ ჯგუფს შორის: 1) პირდაპირი გადასახადები (შემოსავალზე, მიწაზე, სასარეწავო და სხვა), საერთოდ 6,7 მილ. მან., 2) გადასახადები საგერბო, სამოსამართლო, დაზღვევისა, სამემკვიდრეო და სხვა, სულ 4,9 მილ მანეთი და 3) აქციზი (სპირტისა, ყურძნის ღვინო ა, თამბაქოსი და სხვა), რომელმაც ყველაზე მეტი შემოსავალი მოუტანა ხაზინას, სახელდობრ 14,9 მილ. მანეთი.

პირველ ჯგუფის შემადგენელ პირდაპირ გადასახადთაგან ყველაზე დიდი აღმოჩნდა გადასახადი შემოსავალზე და სასარეწავო. 1917 წელს თვითველმა მათგანმა ხაზინას მისცა დაახლოებით

2 მილ. მანეთამდე. მათ მიჰყვება მოსახლეობის ზრდაზე გადასახადი, რომლიდანაც 1 მილიონზე ცოტა მეტი შემოვიდა. შემდეგ გადასახადები: უძრავ ქონებაზე 0,8 მილ. მანეთი, ფულის კაპიტალზე 0,7 მილ. მან. მიწის გადასახადი ბეგარასთან ერთად 0,2 მილ. მანეთი და სამხედრო 16 ათასი მან.

მეორე ჯგუფში ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა საგერბო გადასახადს— 2,2 მილ. მან. მას მისდევდა გაყიდულ უძრავ ქონებაზე გადასახადი—1,8 მილ. მანეთი, სხვა გადასახადები ყველა ერთად კი მხოლოდ 0,9 მილ. მანეთს იძლეოდა.

რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ყველას გადაამეტა თამბაქოს შემოსავალმა, რაც 1917 წელს 14 მილიონ მანეთს უდრიდა, მაშინ როცა აქციზის სხვა დანარჩენი 10 სახე ერთ მილიონ მანეთსაც ვერ იძლეოდა. ეს აიხსნება იმით, რომ აქციზდაწესებულ საგნებს, როგორცაა: შაქარი, წუმწემა, ლუდი, არაყის ნაწარმოებნი, დროჟი, ჩაი, პაპიროსის ქაღალდი და გილზები საქართველოს ტერიტორიაზე ან სულ არ ამზადებდნენ, ან და ძალიან ცოტას. აქედან გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ თამბაქო, ყურძნის სპირტი და ღვინო. ამიტომაც მათი სააქციზო შემოსავალიც უფრო დიდი იყო.

ზემონათქვამიდანა ჩანს, რომ საქართველოს ამ დროს მიღებულ საგადასახადო სისტემაში არაპირდაპირი გადასახადი სჭარბობდა, რომელიც ყველაშემოსავლის



საერთოჯამის 56% შეადგენდა: პირდაპირ გადასახადებს მეორე ადგილი ეჭირა და მოჰქონდა მხოლოდ მეოთხედი (25%) სახელმწიფო შემოსავლისა, მერე მისდევდა ბაჟი, რომელიც 19% შეადგენდა. ეს სისტემა არ ეთანაბრებოდა სწორი აღმშენებლობის მიზნებს, რომლის თანახმად სახელმწიფო ხარჯები უმთავრესად პირდაპირი გადასახადით უნდა დაიფაროს და არაპირდაპირ გადასახადს მხოლოდ მეორე ხარისხიანი ადგილი უნდა ექნეს დათმობილი.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის აღმოცენების დროის ფინანსიური მდგომარეობის დასახასიათებლად არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ კითხვას გადაუხდელ გადასახადთა შესახებ. 1918 წლის 1 იანვრის თვის გადაუხდელ გადასახდთა საერთო ჯამი 10 მილიონ მანეთს აღწევდა, რაც 1917 წლის ყველა შემოსავლის 40%—1 ან  $\frac{2}{5}$ —1 უდრიდა. ასეთი მდგომარეობა უფრო უკანასკნელი წლების საქმეა, როდესაც ომმა და პოლიტიკურმა არეგ-დარევა მხალხში მეურნეობა ძალიან შეარყია და გადახდის შესაძლებლობა შეასუსტა. ომამდე (1919 წლის 1 იანვარს) გაუღებელი გადასახადი სულ შეადგენდა 1 მილ. მანეთს. ომის სამმა წელიწადმა ამ ჯამს ორი მილ. მანეთი დაუმატა, ხოლო 1917 წელმა 7 მილიონის გაუღებელი გადასახადი დასტოვა.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით

1917 წ. საქართველოში 2.512.000 სულს სტოვრობდა, მასასადამე სულზე მოდიოდა გადასახადი 10 მ. 50 კ. და გაუღებელი გადასახადი 4 მან. ფაქტიურ გადახდელთ, რომელთა რიცხვი შეიძლება საერთო რიცხვის მეხუთედათ მივიღოთ, იმავე წელს უწევდა ყოველწარე გადასახადით 52 მან. 50 კაპ. და გაუღებელი გადასახადი 20 მანეთი.

ასეთია ფინანსიური მეკვიდრეობა, რომელიც მიიღო საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს. ეს მემკვიდრეობა რაოდენობით უმნიშვნელო იყო, კონსტრუქციის (აგებულილობით) შემცდარი და მეტად დავაღებული.

როგორც ვიცით უკანასკნელ დრომდე ამიერ-კავკასიას თავისი საკუთარი ფინანსიური მართველობა არა ქონია: ყველა აქ აკრებილი გადასახადი საერთო სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში ითვლებოდა და ხარჯებსაც საერთო სახელმწიფო საშუალებებიდან ჰფარავდენ. აქ არ ყოფილა ისეთი ცენტრალური ფინანსიური დაწესებულება, რომელსაც შეეერთებინა ფინანსიური უწყების ყველა დაწესებულებანი, არ ყოფილა სტატისტიკაც. ამ ნაკლის შევსება საჭირო იყო თავდაპირველადვე. რათა ნათლად-გაგვეთვალისწინებია ახალი მდგომარეობა და სამუშაო. ამიტომ მოწყობა სწორი სტატისტიკისა დიდ საზრუნავ საგნათ ვადიქცა.

ფინანსთა სამინისტროს საქართველოში



დარჩენილი დაწესებულებანი ვერ აღმოჩნდნენ მაინცა და მაინც შეფარდებული ახალ პირობებთან. ზოგი მათგანი ტერიტორიის მიხედვით ძალიან ვრცელი იყო და თვის გამგებლობის ფარგლებში იქცევდა არა მარტო მთელს ამიერ კავკასიას, არამედ იმიერ-კავკასიასაც. ზოგი პირიქით, ძალიან დაქსაქსული იყო, საჭირო იყო მათი შედუღება და მათთვის უფრო ფართე უფლებების მინიჭება. პირველათ გადაიქმნა საბაჟო და სააქციზო სამმართველოები, ხოლო ორი სახაზინო პალატა ქუთაისისა და ტფილისისა შეერთებულ იქნა ერთს გადასახადათ და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოში. სახელმწიფო გადასახადების ცუდად შემოსვლის მიზეზების გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ საჭირო იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავარს პუნქტებში შექმნა საგანგებო აპარატისა პირდაპირ გადასახადთა ასაკრეფად, რისი შედეგიც იყო სპეციალ ფინანსიური მილიციის შედგენა ქალაქებში, ხოლო მაზრებში გადასახადების აკრეფის საქმე დაექვემდებარა მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს.

პირდაპირი გადასახადების დარგში გაგრძელდა ზოგიერთი გადასახადის მოპატებული ნორმით გაღება, რაც შემოღებულ იქმნა ომის დროს, ხოლო არა პირდაპირ გადასახადთა დარგში, საომარ მოქედებათა შეწყვეტის გამო, მოსპობილ იქნა ყოველგვარი შეღავათი, როგორც მაგალითად ჯარის საჭიროებისათვის თამბა-

ქოს, პაპიროსისა, წუმწუმისა და სხვა უაქციზოდ გაცემა.

ცხადია საგადასახადო კანონმდებლობის წრე უნდა გაფართოებულიყო, რომ მუშაობა მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე ყოფილიყო წარმოებული, საფინანსო უწყების ორგანოებს მიენდო მრგვწველობის დარგებისა და სასოფლო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის გამოკვლევა.

სააქციზო უწყებისა და საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლებმა ადგილობრივ შეპკრიბეს ვრცელი მასალები თამბაქოს მოყვანისა, ღვინის დაყენებისა, ყურძნისა და კონიაკის გამოხდის შესახებ და სხვა. არის მასალა აგრეთვე სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების შესახებაც.

თანდათან შეგროვებული მასალა საფუძვლად ედება გადასახადების დარგში ახალი კანონპროექტების შემუშავებას, რომელმაც არსებითად უნდა შესცვალოს აქამდე მომქმედი საგადასახადო სისტემა, შეუფარდოს ის თანამედროვე სოციალურ წყობილებას და შემოსავლის რაოდენობა იმ ზომამდე უნდა ასწიოს, რომ ამით სახელმწიფოს საჭიროება იფარებოდეს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელსაც მიზნად ექნება ფულის ფონდის შექმნა და ეროვნული ბანკის დაარსება, საკუთარი ფულის სისტემის დაწესება და შესაძლებელია უკვე



სახმარებლად გამოცემულ ბონების ნაწილობრივი ლიკვიდაცია.

ამ ზომების განხორციელება დამოკიდებულია საქონლის მომავალ გაცვლა-გამოცვლაზე, განსაკუთრებით თაშაქოს ნაწარმოებისა და თაშაქოს ფოთლებისა,

რომლის თადარიგი საქართველოში მილიონ ფუტს აღწევს. მათი ლიკვიდაცია საერთოთ 200 მილიონ მანეთს აღემატება.

(დასასრული იქნება)
